Dynamic
- Dynamic Material Model: Equivalent Linear
- Unit Weight: 18 kN/m³
- Effective Poisson's Ratio: 0.42
- K0: 0.7241
- Effective Cohesion: 20 kPa
- Effective Friction Angle: 25 °
- Dynamic G-Reduction Function: ClayFunction
- Cyclic Function: Clay1
- Dynamic Damping Ratio Function: Clay2 (2)
- GMax Function: Clay

#2Argillite+sandstone#

Dynamic
- Dynamic Material Model: Equivalent Linear
- Unit Weight: 22 kN/m³
- Effective Poisson's Ratio: 0.25
- K0: 0.3333
- Effective Cohesion: 2.2 kPa
- Effective Friction Angle: 23 °
- Dynamic G-Reduction Function: RockFunction (auto)
- Cyclic Function: Rock (auto)
- Dynamic Damping Ratio Function: Rock
- GMax Function: Rock

#3Argillite+sandstone#

Dynamic
- Dynamic Material Model: Equivalent Linear
- Unit Weight: 23.6 kN/m³
- Effective Poisson's Ratio: 0.2
- K0: 0.25
- Effective Cohesion: 2.6 kPa
- Effective Friction Angle: 23.3 °
- Dynamic G-Reduction Function: RockFunction (auto)
- Cyclic Function: Rock (auto)
- Dynamic Damping Ratio Function: Rock
- GMax Function: Rock

ნახ.62. გრუნტის საანგარიშო პარამეტრები

ძირითადი შედეგები



ნახ.63. სტადია 1. ნორმალური ძაბვები გრუნტში Nz, კპა.



ნახ.64. სტადია 3. ნორმალური ძაბვები გრუნტში Nz, კპა.



ნახ.65. სტადია 5. ნორმალური ძაბვები გრუნტში Nz, კპა.



ნახ.66. სტადია 6. ნორმალური ძაბვები გრუნტში Nz შენობის წონის გათვალისწინებით, კპა.



ნახ.67. ფერდის სტაბილურობის შეფასება სასრული ელემენტების მეთოდით სტატიკურ პირობებში მშენებლობის დაწყებამდე- სტადია 1.
სტაბილურობის მინიმალური კოეფიციენტი Ks=1.52 (>1.5). ფერდი იმყოფება სტაბილურ მდგო,არეობაში.



ნახ.68. სტადია 1 (ფერდი ბუნებრივ მდგომარეობაშია) Morgenstern-Price-ის მეთოდი სეისმურ პირობებში. სტაბილურობის მინიმალური კოეფიციენტი Ks=1.18 (<1.2).
სეისმურ პირობებში სტაბილურობა არ არის უზრუნველყოფილი.



ნახ.69. სტადია 5. ქვაბულის კედლების სტაბილურობა არ არის უზრუნველყოფილი სტატიკურ პირობებში (სასრული ელემენტების მეთოდით)- Ks=0.40 (<1.5). ქვაბულის კედლების გამაგრება აუცილებელია.



ნახ.70. სტადია 5. ქვაბულის კედლების სტაბილურობა არ არის უზრუნველყოფილი სტატიკურ პირობებში (სასრული ელემენტების მეთოდით)- Ks=0.58 (<1.5). ქვაბულის კედლების გამაგრება აუცილებელია.



ნახ.71. სტადია 7. სტაბილურობის შეფასება ნიუმარკის დეფორმაციის მეთოდით აკსელეროგრამაზე გაანგარიშების შედეგების საფუძველზე. ქვაბულის კედლების სტაბილურობა არ არის უზრუნველყოფილი, მინიმალური Ks=0.38-0.99 (<1.2). ქვაბულის კედლებისა და ფერდის გამაგრება აუცილებელია.



ნახ.72. აქსელეროგრამა, pga=0.39g



ნახ.73. სტადია 7. სტაბილურობის შეფასება ნიუმარკის დეფორმაციის მეთოდით აკსელეროგრამაზე გაანგარიშების შედეგების საფუძველზე. ქვაბულის ზედა კედლის სტაბილურობა არ არის უზრუნველყოფილი, მინიმალური Ks=1.07 (<1.2). ქვაბულის კედლების გამაგრება აუცილებელია. დროის ფუნქცია- იხ. ქვედა ნახაზი.



ნახ.74.სტადია 8. სტაბილურობის შეფასება ნიუმარკის დეფორმაციის მეთოდით აკსელეროგრამაზე გაანგარიშების შედეგების საფუძველზე. ქვაბულის ზედა კედლის სტაბილურობა არ არის უზრუნველყოფილი, Ks=1.02-1.15 (<1.2)- სტაბილურობის ცოეფიციენტის დროის ფუნქცია. ქვაბულის კედლების გამაგრება აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა, პროგრამები

1. ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლი%ვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ს/კ 01.14.16.015.149) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები. შპს „გეოინჟკომპლექსი", 2023.

2. GeoStudio v. 2023. Geoslope International Ltd, trial version.

3. Stability modeling by Geostudio. Geoslope International Ltd, 2017.

4. ნ.წერეტელი, ო.ვარაზანაშვილი, თ.ჭელიძე. სეისმური საშიშროების ალბათური რუკები საქართველოსთვის. თბილისი, ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ.ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, 2019.



ტოპოგრაფიული გეგმა
მისამართი: ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ
ს/კ: 01.14.16.015.149
5528 კვ.მ.
შპს G.M.G Group ს/ნ: 400246998
მობ: (+995) 598 39 08 05; (+995) 598 105 105;
ელ. ფოსტა: g.m.g-group@yandex.com
პირობითი აღნიშვნები
დირექტორი:
აზომა/დახაზა:
დამკვეთი:
შპს თ.ქ. ს/ნ 400303523
მასშტაბი: 1:500
26/06/2023 წ.
1) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს
ს/კ: 01.14.16.015.149
5528 კვ.მ.
ჭაბ.№1
ჭაბ.№2
ჭაბ.№3
ჭაბ.№4
ჭაბ.№5
ჭაბ.№6
ჭაბ.№7
ჭაბ.№8
ჭაბ.№9
მშენებარე
სანიაღვრე ბეტონის ჭა
უმოქმედო ჭა
18ქს
19ქს
რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობა ოპტიკური კაბელი ს/კ: 01.01.808 შპს მაგთიკომი
რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობა მილსადენი ს/კ: 01.02.672 შპს თბილისი ენერჯი
რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობა გარე განათების თვითმზიდი იზოლირებული კაბელები ს/კ: 01.00.081
რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობა, მილსადენი მიწისქვეშა წყალმომარაგების ქსელი ს/კ: 01.01.834 შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერ
ფურცელი №1


№ 0000000
ზედაპირის ტიპი
ზედაპირის ფართობი, კვ. მეტრი
ბეტონის ფენის სისქე, სმ
კონსტრუქციული ელემენტის დასახელება
ბეტონის მარკა
ბეტონის მოცულობა, კუბ. მეტრი
ბეტონის მიწოდების დაწყების თარიღი
ბეტონის მიწოდების დასრულების თარიღი
ბეტონის ნიმუშების აღების თარიღი
ნიმუშების ტესტირების თარიღი
ტესტირების შედეგები (ფაქტობრივი)
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
1
2
3
0.00
2.00
2.00
601.50
16.09.2023
18.09.2023
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
1
2
3
2.00
4.00
2.00
598.00
16.09.2023
18.09.2023
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
1
2
3
4.00
15.00
11.00
587.00
16.09.2023
18.09.2023
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
ზაზ. №1
№ 0000000
ზედაპირის ტიპი
ზედაპირის ფართობი, კვ. მეტრი
ბეტონის ფენის სისქე, სმ
კონსტრუქციული ელემენტის დასახელება
ბეტონის მარკა
ბეტონის მოცულობა, კუბ. მეტრი
ბეტონის მიწოდების დაწყების თარიღი
ბეტონის მიწოდების დასრულების თარიღი
ბეტონის ნიმუშების აღების თარიღი
ნიმუშების ტესტირების თარიღი
ტესტირების შედეგები (ფაქტობრივი)
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
1
2
3
0.00
2.00
2.00
601.50
19.09.2023
20.09.2023
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
1
2
3
2.00
3.50
1.50
600.00
19.09.2023
20.09.2023
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
1
2
3
3.50
12.00
8.50
591.50
19.09.2023
20.09.2023
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
ზაზ. №2
№ 0000000
ზედაპირის ტიპი
ზედაპირის ფართობი, კვ. მეტრი
ბეტონის ფენის სისქე, სმ
კონსტრუქციული ელემენტის დასახელება
ბეტონის მარკა
ბეტონის მოცულობა, კუბ. მეტრი
ბეტონის მიწოდების დაწყების თარიღი
ბეტონის მიწოდების დასრულების თარიღი
ბეტონის ნიმუშების აღების თარიღი
ნიმუშების ტესტირების თარიღი
ტესტირების შედეგები (ფაქტობრივი)
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
1
2
3
0.00
2.50
2.50
602.50
21.09.2023
22.09.2023
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
1
2
3
2.50
4.00
1.50
601.00
21.09.2023
22.09.2023
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
1
2
3
4.00
12.00
8.00
593.00
21.09.2023
22.09.2023
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაცია
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების საშუალება
ბეტონის ნარევის ტრანსპორტირების ხანგრძლივობა, სთ
ბეტონის ნარევის ტემპერატურა მიწოდებისას, °C
შენიშვნები
ზედაპირი
ბეტონი
კვ.მ
მ3
ზაზ. №3
ტიპიური ბეტონის ნარევის მომწოდებლის ინფორმაციული ბარათის ნიმუში
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაციის დასახელება
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაციის მისამართი
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაციის საკონტაქტო ინფორმაცია
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაციის ხელმძღვანელი
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაციის ტექნიკური ხელმძღვანელი
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელი
ბეტონის ნარევის მომწოდებელი ორგანიზაციის ლაბორატორიის ტექნიკოს

ბუნ. №4

№	ფენები	სიმძლავრე, მ	ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები	ნაგებობის ფენა	ინჟინრულ-გეოლოგიური ელემენტის ნომერი	ფენის ფერდობის კუთხე, გრად.	ფენის ფერდობის სიგრძე, მ
1	0.00	2.50	592.00	1:100	①	23.09.2023	
2	2.50	15.00	579.50			25.09.2023	

ბუნ. №5

№	ფენები	სიმძლავრე, მ	ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები	ნაგებობის ფენა	ინჟინრულ-გეოლოგიური ელემენტის ნომერი	ფენის ფერდობის კუთხე, გრად.	ფენის ფერდობის სიგრძე, მ
1	0.00	6.00	581.00	1:100	①	26.09.2023	
2	6.00	8.50	578.50		②	27.09.2023	
3	8.50	15.00	572.00		③		

ბუნ. №6

№	ფენები	სიმძლავრე, მ	ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების ნორმატიული მნიშვნელობები	ნაგებობის ფენა	ინჟინრულ-გეოლოგიური ელემენტის ნომერი	ფენის ფერდობის კუთხე, გრად.	ფენის ფერდობის სიგრძე, მ
1	0.00	0.50	579.50	1:100	①	28.09.2023	
2	0.50	2.10	577.90		②	29.09.2023	
3	2.10	18.00	562.00		③		

ქ IV ① ნაპირა - ნაცრისფერი ბაზალტის და ღორღისებრი ნატეხოვანი ნაკადი

ე ო ც ე ნ ი ს ნ ა ხ ა ზ ი

ე IV ② ძირითადი - ნაცრისფერი ბაზალტის ძლიერ გამკვრივებული ფენა ნაპრალების ცემენტირებით, ზედაპირზე ფენის ნაპრალოვანი ტექსტურით

ე IV ③ ძირითადი - ნაცრისფერი ბაზალტის ძლიერ გამკვრივებული ფენა ნაპრალების ცემენტირებით, ქვედა ნაწილში ფენის ნაპრალოვანი ტექსტურით

ნაგებობის ფენა ნომრით და ნაგებობის ფენის ელემენტის ნომერი

ა. ო.

ტელ. „ავტომაგისტრალების პროექტი"

e-mail: geo.logi@yahoo.com

ტელ: (032) 2 37 62 55



№	ფენის დასახელება
1	ასფალტი
2	ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი
3	ბეტონის ფილები

			ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირის მონაკვეთის რეაბილიტაცია
			ტექნიკური ანგარიში
			ტექნიკური ზედამხედველი: ნ. ბერიძე
			მთავარი ინჟინერი: ლ. ქავთარაძე
			ინჟინერ-ტექნოლოგი: ი. ჯანაშია


ЗЭ.№1
ЗЭ.№2
ЗЭ.№3
601.50
602.00
5.50
22.70
6.50
9.50
12.00
9.00
599.30
600.00
605.00
603.50
605.00
600.00
587.00
591.50
593.00
598.00
600.00
601.50
601.00
602.50
1
2
3
605
604
603
602
601
600
599
598
597
596
595
594
593
592
591
590
589
588
587
586
585

1:100

ЗЭ - 2 - 1 ЭЭ



ჭაბურღილების №№			ჭაბ.№4					ჭაბ.№5		
მიწის ზედაპირის ნიშნულები	581.65	594.70	594.50	587.60	591.00	591.50	588.50	587.00	585.30	586.0
მანძილი მ-ში	4.40	3.00	19.70	8.20	3.40	7.00	5.50	7.70	8.00	

პ ი რ ო ბ ი თ ი ა ღ ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

tQ_{IV} ① ნაყარი - ნატეხოვანი მასალის და თიხოვანი გრუნტების ნარევი

P_2^3 ② ძირითადი ქანი - სქელშრეებრივი ქვიშაქვები თხელშრეებრივი არგილითების შუაშრეებით, გამოფიტული

③ ძირითადი ქანი - სქელშრეებრივი ქვიშაქვები თხელშრეებრივი არგილითების შუაშრეებით, სუსტად გამოფიტული

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ზ. კვაჭანტირაძე	
მთ.გეოლოგი	ა. პასიკაშვილი	
ინჟ.გეოლოგი	ნ. შერვაშიძე	
წამყ. სპეციალისტი	მ. მამუკაშვილი	

ქ. თბილისი
ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ
(ს/კ 01.14.16.015.149)
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილი

შპს „გეოინჟკომპლექსი“
ქ. თბილისი. ქ. შარტავას ქ. №43 დ
e-mail: geo.logi@yahoo.com
ტელ: (032) 2 37 62 55

დაკვ. 100/2023

ფურცელი 6 | ფურცელი 10



$$\frac{\text{ვ ა ლ ი 1 : 1 0 0}}{\text{1:100}}$$



1	23.04.2023	Е. Зайцев	Внесены изменения по замечаниям заказчика
Изм.	Дата	Подпись	Содержание изменения
Гип	Д. Ольховский		
Нач. отд.	Е. Зайцев		
Н. контр.	Д. Ольховский		
Разраб.	Д. Ольховский		
ГАУ «Госэкспертиза Приозерья»		Стадия	Лист	Листов
		Р	10	10
Заключение государственной экспертизы № 100/2023 от 15.03.2023				
Заключение государственной экспертизы № 8				



ჭ რ ი ლ ი II – II¹

1:100

| | | |

ტექნიკური ზედამხედველი	ხელმოწერა	ტელეფონის ნომერი	ტექნიკური ზედამხედველის სახელი, გვარი	
ფილიალის ხელმძღვანელი				
ტექნიკური ზედამხედველი				
სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი				
სამშენებლო ორგანიზაციის წარმომადგენელი				

ობიექტის დასახელება	ქ. ბათუმი, ბულვარული ნაკვეთი №2, ტერიტორიის კეთილმოწყობა
ობიექტის მისამართი	ქ. ბათუმი, ბულვარული ნაკვეთი №2
სამშენებლო ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, ტელეფონი	შპს "ბათუმის ბულვარი" ქ. ბათუმი, ა. ფაღავას ქ. №43 e-mail: geo.logi@yahoo.com ტელ: (032) 2 37 62 55

ნახ.33 100/2023

ვერტიკალური ჭრილი 3-3

ვერტიკალური ჭრილი 2-2

ვერტიკალური ჭრილი 1-1

| | | | |











ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
გეოფიზიკური ასოციაცია

60 თბილისი , მ. ალექსიძის ქ.
ტელ. 233-28-67; ფაქსი: 233-28-67
E-mail: Tamaz.chelidze@gmail.com

GEORGIAN
GEOPHYSICAL ASSOCIATION

1 Alexidze str. - Tbilisi 0160 - Georgia
Phone: (995 32) 233-28-67; Fax/phone: (995 32) 233-28-67 ; E-mail: Tamaz.chelidze@gmail.com

ვამტკიცებ „4“ „სექტემბერი“ 2023 წ.
ა(ა)იპ საქართველოს გეოფიზიკური
ასოციაციის თავმჯდომარე
აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე

ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი 15/149, ს/კ 01.14.16.015.149) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, სეისმური პროფილების აგება, სეისმურობის დაზუსტება ლოკალური პარამეტრების გათვალისწინებით, საპროექტო შენობისათვის საანგარიშო აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა, დრეკადი და საანგარიშო რეაქციის სპექტრების აგება, მიღებული შედეგების წარმოდგენა პროგრამა Lira SAPR-ის ფორმატში

(ტექნიკური ანგრიში)

თბილისი 2023

ძირითად შემსრულებელთა სია:

ვახტანგ არაბიძე

აკ. დოქტორი ტექნიკურ მეცნიერებაში,
საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

მალხაზ გიგიბერია

მეცნიერებათა დოქტორი ფიზიკაში,
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ას. პროფესორი
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი

სარჩევი

შესავალი 4

1 ექსპერიმენტული კვლევები, ფუძე-გრუნტების სეისმური პროფილების აგება 4

1.1 სეისმური პროფილირება 5

1.2 ჩატარებული სამუშაოების ანალიზი და შედეგები 7

1.3 დასკვნა 13

2 სამშენებლო უბნის სეისმურობის დაზუსტება 14

3 აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა 19

3.1 აქსელეროგრამების შერჩევა ზოგადი პრინციპებით 19

3.2 აქსელეროგრამების შერჩევა პაკეტისათვის და ნორმირება ერთეულ სიდიდეზე 22

4 საანგარიშო სპექტრების აგება 38

5 აქსელეროგრამებისა და რეაქციის სპექტრების ციფრული პაკეტების გადაყვანა პროგრამა „Lira SAPR“ ფორმატში 41

დასკვნები და რეკომენდაციები 44

ლიტერატურა 45

შესავალი

შ.პ.ს. „New Arch Studio“-ს დირექტორის ბატონ ვალერიანე იობიძეს დაკვეთით ჩვენს მიერ ჩატარებულ იქნა სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებდა: ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ (ნაკვეთი 15/149, ს/კ 01.14.16.015.149) მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისათვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, სეისმური პროფილების აგებას, სეისმუროზის დაზუსტებას ლოკალური პარამეტრების გათვალისწინებით, საპროექტო შენობისათვის საანგარიშო აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევას, დრეკადი და საანგარიშო რეაქციის სპექტრების აგებას, მიღებული შედეგების წარმოდგენას პროგრამა Lira SAPR-ის ფორმატში.

1. ექსპერიმენტული კვლევები, ფუძე-გრუნტების სეისმური პროფილების აგება

კვლევის ამოცანას წარმოადგენდა ქ.თბილისში, ელგუჯა ამაშუკელის ქუჩის მიმდებარედ, ნაკვეთი #01.14.16.015.149, მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის სახლის საძირკვლის გეოფიზიკური გამოკვლევა. ანგარიშში წარმოდგენილია შესაბამისი შედეგები.

ჩატარდა სეისმური პროფილირება გარდატეხილი ტალღების მეთოდით, აიგო შესაბამისი სეისმოგეოლოგიური ჭრილები, განისაზღვრა დრეკადი გრძივი და განივი ტალღების გავრცელების სიჩქარეები. ასევე შეფასდა შესაბამისი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობები. ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა სიგრძის 2 სეისმური პროფილის ჭრილი, საერთო სიგრძით 69 მ (ნახ. 1.1). ცხრილ 1.1-ში მითითებულია სეისმური პროფილების დასაწყისი და საბოლოო კოორდინატები WGS84 სისტემაში აბსოლუტურ სიმაღლეებთან ერთად.

ცხრილი 1.1. სეისმური პროფილების დასაწყისი და საბოლოო კოორდინატები. #-1 მიუთითებს პირველ გეოფონს ანუ პროფილის დასაწყისს, ხოლო #-24 - 24-ე გეოფონს ანუ პროფილის ბოლოს. H მიუთითებს აბსოლუტურ სიმაღლეებს.

GPH #	X	Y	H,m
1-1	478262	4620146	580
1-24	478219	4620137	579
2-1	478258	4620151	581
2-24	478250	4620171	590



ნახ.1.1. საკვლევი უბანი და სეისმური პროფილების განლაგების სქემა.
#-1 მიუთითებს პირველ გეოფონს ანუ პროფილის დასაწყისს, ხოლო #-24 - 24-ე გეოფონს ანუ პროფილის ბოლოს.

1.1. გეოფიზიკური კვლევები (სეისმური პროფილირება)

სეისმური პროფილირება გარდატეხილი ტალღების მეთოდით.

ქანების თვისებების გამოკვლევა საინჟინრო სეისმოძიების პრობლემების გადაწყვეტისათვის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო მოცემული უბნის აგებულების შესწავლა და ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების განსაზღვრა გრძივი და განივი დრეკადი ტალღების სიჩქარეების მნიშვნელობების საფუძველზე. ამისათვის ამორჩეულ იქნა გარდატეხილი ტალღების საველე სეისმური მეთოდი.

გარდატეხილი ტალღების მეთოდი იძლევა საშუალებას განისაზღვროს ზედაპირული და უფრო ღრმა ფენების სიმძლავრეები და მათში დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარეები. მეთოდი ემყარება დრეკადი ტალღების წყაროდან ერთ ხაზზე განლაგებულ გეოფონებში P და S ტალღების პირველი შემოსვლების დროების განსაზღვრას. ამრიგად კვლევის ამოცანა იყო ქანების სტრუქტურის განსაზღვრა და გამოყოფილ სტრუქტურულ ელემენტებში შემდეგი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების განსაზღვრა:

1	**Vp m/sec**	გრძივი ტალღის სიჩქარე
2	**Vs m/sec**	განივი ტალღის სიჩქარე
3	**Vs/Vp**	სიჩქარეების თანაფარდობა
4	**ρ gr/cm^3**	სიმკვრივე
5	**μ**	პუასონის კოეფიციენტი
6	**Ed Mpa**	იუნგის დინამიური მოდული
7	**Gd MPa**	ძვრის დინამიური მოდული
8	**Kd Mpa**	ყოველმხრივი კუმშვის დინამიური მოდული
9	**D Mpa**	საერთო დეფორმაციის მოდული
10	**τ Mpa**	სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე

შენიშვნა. აღნიშნული პარამეტრებიდან 1-3 მიღებულია კვლევის შედეგად, 5-8 გამოთვლილია ცნობილი თეორიული დამოკიდებულებების საფუძველზე, ხოლო 4, 9, 10 მიღებულია ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული კავშირების გამოყენებით.

პარამეტრების გამოთვლილი მნიშვნელობები მოყვანილია ცხრილ 1.2-1.3-ში.

სეისმოპროფილირება ჩატარდა 10 ჰერციანი გეოფონებით, რომელთა შორის დაშორებაც 2 მეტრს შეადგენდა. სეისმური ტალღების ინდუცირება ხდებოდა 10 კგ -იანი უროს პლასტმასის სპეციალურ ფირფიტაზე დარტყმით. გეოფონები და დარტყმები სრულდებოდა Z-Z და Y-Y ორიენტირებით, გამოიყენებოდა 5 დარტყმის წერტილიანი სისტემა, რომელიც მოიცავდა დარტყმებს პროფილის დასაწყისში, შუაში, ბოლოში და ორ გატანილ დარტყმას. ასეთი სისტემა მნიშვნელოვანი მანძილით დაშორებული გატანილი დარტყმებით საშუალებას იძლეოდა ინფორმაცია მიგვეღო 30 მ სიღრმემდე. ტალღის ტიპის მიხედვით იცვლებოდა დარტყმის ორიენტირებაც.

ტალღების რეგისტრაცია ხორციელდებოდა ამერიკული **GEOMETRICS** ფირმის **GEODE** მარკის **24** არხიანი საინჟინრო სეისმური სადგურით.

მონაცემების დამუშავება და ინტერპრეტაცია განხორციელდა ამავე ამერიკული **GEOMETRICS** ფირმის ლიცენზირებული პროგრამის ***SeisImager*** გამოყენებით.
გაკეთებულია მიღებული სეისმოგრამების ანალიზი და აიგო ჭრილები (ნახ. 1.2 - 1.3).

1.2. ჩატარებული სამუშაოების ანალიზი და შედეგები

საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარდა სეისმური პროფილირება გარდატეხილი ტალღების მეთოდით. აიგო შესაბამისი სეისმოგეოლოგიური ჭრილები, განისაზღვრა დრეკადი გრძივი და განივი ტალღების გავრცელების სიჩქარეები. ასევე შეფასდა შესაბამისი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობები. ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა სიგრძის 2 სეისმური პროფილის ჭრილი, საერთო სიგრძით 69 მ (ნახ. 1.1). ცხრილ 1.1-ში მითითებულია სეისმური პროფილების დასაწყისი და საბოლოო კოორდინატები WGS84 სისტემაში აბსოლუტურ სიმაღლეებთან ერთად.

გეოფიზიკური პარამეტრების მიხედვით გამოყოფილია სხვადასხვა საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები **(ფენები)** და დადგენილია მათში Vp, Vs სიჩქარეების მნიშვნელობების განაწილება. შესაბამისი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილებში 1.2 – 1.3 (ნახ.: 1.2 – 1.3).

მიღებულ ჭრილებზე გეოფიზიკური მონაცემების მიხედვით უმთავრესად დაიკვირვება ფიზიკური თვისებებით განსხვავებული სამი ფენი (იდენტიფიკაცია განხორციელდა ჩვენს მიერ მიღებული გეოფიზიკური მასალისა და დამკვეთის მიერ მოწოდებული გეოლოგიური ინფორმაციის საფუძველზე):

ფენი1 – ნაყარი გრუნტი ელუვიურ-პროლუვიური, წარმოდგენილი ხვინჭისა და თიხნარის ნარევით;

ფენი2 – ძირითადი ქანები წარმოდგენილი ძლიერ გამოფიტული და განტვირთული თიხოვანი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით;

ფენი3 – ძირითადი ქანები წარმოდგენილი ნაკლებად გამოფიტული თიხოვანი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით.

<u>სეისმური პროფილი #1:</u>

ფენი1 ვრცელდება ზედაპირიდან 1.2 – 2.5 მ-ის სიღრმემდე, გრძივი და განივი ტალღების სიჩქარეების მნიშვნელობებით: V_P = 509 მ/წმ; V_S = 353 მ/წმ.

ფენი1-ს ქვემოდან ესაზღვრება 1.0-5.0 მ სიმძლავრის **ფენი2**, გრძივი და განივი ტალღების სიჩქარეების შემდეგი მნიშვნელობებით: V_P = 1702 მ/წმ; V_S = 966 მ/წმ.

აღნიშნულ ფენს მოსდევს **ფენი3**, რომელიც ჩვენი დაკვირვებით ვრცელდება 30 მ სიღრმემდე, გრძივი და განივი ტალღების შემდეგი სიჩქარეების მნიშვნელობებით: V_P = 2958 მ/წმ; V_S= 1964 მ/წმ.



ნახ. 1.2. სეისმოგეოლოგიური ჭრილი #1.

ცხრილი 1.2. ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობები პროფილი #1–სათვის.

ფენის N	პარამეტრი	პარამეტრის აღწერა	მნიშვნელობები	სიმძლავრე, მ
1	Vp m/sec	გრძივი ტალღის სიჩქარე	509	2
	Vs m/sec	განივი ტალღის სიჩქარე	353	
	Vs/Vp	სიჩქარეების თანაფარდობა	0.69	
	ρ gr/cm^3	სიმკვრივე	1.53	
	μ	პუასონის კოეფიციენტი	0.04	
	Ed Mpa	იუნგის დინამიური მოდული	400	
	Gd MPa	ძვრის დინამიური მოდული	191	
	Kd Mpa	ყოველმხრივი კუმშვის დინამიური მოდული	142.14	
	D Mpa	საერთო დეფორმაციის მოდული	7.80	
	τ Mpa	სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე	-	
2	Vp m/sec	გრძივი ტალღის სიჩქარე	1702	4
	Vs m/sec	განივი ტალღის სიჩქარე	966	
	Vs/Vp	სიჩქარეების თანაფარდობა	0.57	
	ρ gr/cm^3	სიმკვრივე	2.07	
	μ	პუასონის კოეფიციენტი	0.26	
	Ed Mpa	იუნგის დინამიური მოდული	4870	
	Gd MPa	ძვრის დინამიური მოდული	1930	
	Kd Mpa	ყოველმხრივი კუმშვის დინამიური მოდული	3417.92	
	D Mpa	საერთო დეფორმაციის მოდული	426.32	
	τ Mpa	სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე	19.30	
3	Vp m/sec	გრძივი ტალღის სიჩქარე	2958	24
	Vs m/sec	განივი ტალღის სიჩქარე	1964	
	Vs/Vp	სიჩქარეების თანაფარდობა	0.66	
	ρ gr/cm^3	სიმკვრივე	2.37	
	μ	პუასონის კოეფიციენტი	0.11	
	Ed Mpa	იუნგის დინამიური მოდული	20260	
	Gd MPa	ძვრის დინამიური მოდული	9160	
	Kd Mpa	ყოველმხრივი კუმშვის დინამიური მოდული	8564.77	
	D Mpa	საერთო დეფორმაციის მოდული	4177.63	
	τ Mpa	სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე	91.60	
Vs30, m/sec		განივი ტალღის საშუალო სიჩქარე 30მ სიღრმემდე	1362	

<u>სეისმური პროფილი #2:</u>

ფენი1 ვრცელდება ზედაპირიდან 0.6 – 2.0 მ-ის სიღრმემდე, გრძივი და განივი ტალღების სიჩქარეების მნიშვნელობებით: V_P = 495 მ/წმ; V_S = 342 მ/წმ.

ფენი1-ს ქვემოდან ესაზღვრება 0.3-9.0 მ სიმძლავრის **ფენი2**, გრძივი და განივი ტალღების სიჩქარეების შემდეგი მნიშვნელობებით: V_P = 1520 მ/წმ; V_S = 836 მ/წმ.

აღნიშნულ ფენს მოსდევს **ფენი3**, რომელიც ჩვენი დაკვირვებით ვრცელდება 30 მ სიღრმემდე, გრძივი და განივი ტალღების შემდეგი სიჩქარეების მნიშვნელობებით: V_P = 2516 მ/წმ; V_S= 1644 მ/წმ.



ნახ. 1.3. სეისმოგეოლოგიური ჭრილი #2.

ცხრილი 1.3. ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობები პროფილი #2–სათვის.

ფენის N	პარამეტრი	პარამეტრის აღწერა	მნიშვნელობები	სიმძლავრე, მ
1	Vp m/sec	გრძივი ტალღის სიჩქარე	495	1
	Vs m/sec	განივი ტალღის სიჩქარე	342	
	Vs/Vp	სიჩქარეების თანაფარდობა	0.69	
	ρ gr/cm^3	სიმკვრივე	1.52	
	μ	პუასონის კოეფიციენტი	0.04	
	Ed Mpa	იუნგის დინამიური მოდული	370	
	Gd MPa	ძვრის დინამიური მოდული	178	
	Kd Mpa	ყოველმხრივი კუმშვის დინამიური მოდული	135.29	
	D Mpa	საერთო დეფორმაციის მოდული	6.88	
	τ Mpa	სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე	-	
2	Vp m/sec	გრძივი ტალღის სიჩქარე	1520	8
	Vs m/sec	განივი ტალღის სიჩქარე	836	
	Vs/Vp	სიჩქარეების თანაფარდობა	0.55	
	ρ gr/cm^3	სიმკვრივე	2.01	
	μ	პუასონის კოეფიციენტი	0.28	
	Ed Mpa	იუნგის დინამიური მოდული	3610	
	Gd MPa	ძვრის დინამიური მოდული	1405	
	Kd Mpa	ყოველმხრივი კუმშვის დინამიური მოდული	2771.63	
	D Mpa	საერთო დეფორმაციის მოდული	263.98	
	τ Mpa	სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე	14.05	
3	Vp m/sec	გრძივი ტალღის სიჩქარე	2516	1
	Vs m/sec	განივი ტალღის სიჩქარე	1644	
	Vs/Vp	სიჩქარეების თანაფარდობა	0.65	
	ρ gr/cm^3	სიმკვრივე	2.28	
	μ	პუასონის კოეფიციენტი	0.13	
	Ed Mpa	იუნგის დინამიური მოდული	13900	
	Gd MPa	ძვრის დინამიური მოდული	6164	
	Kd Mpa	ყოველმხრივი კუმშვის დინამიური მოდული	6218.08	
	D Mpa	საერთო დეფორმაციის მოდული	2285.42	
	τ Mpa	სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე	61.64	

გეოფიზიკური კვლევების საფუძველზე განივი ტალღების საშუალო სიჩქარეების მიხედვით გრუნტის ზედა 30 მ ფენში (V_{S30}) შეფასდა გრუნტის კატეგორიები.

ვინაიდან 30 მ სიღრმემდე ინფორმაციის მიღება მხოლოდ პროფილ #1-ზე გახდა შესაძლებელი, შესაბამისად გრუნტის კატეგორიების შეფასება მოხდა მხოლოდ აღნიშნული პროფილის საფუძველზე.

შესაბამისად შეფასდა გრუნტის კატეგორიები როგორც საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით, ასევე საერთაშორისო ნორმების მიხედვით (IBC 2006, EUROCODE 8, ASCE 7).

ამ უბნისათვის განივი ტალღების სიჩქარეების გასაშუალოებული მნიშვნელობა ზედა 30 მ ფენში (V_{S30}) მიღებული იქნა **1362** მ/წმ. აღნიშნული მნიშვნელობა საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით შეესაბამება **გრუნტის I კატეგორიას,** ხოლო საერთაშორისო ნორმების მიხედვით განისაზღვრა შემდეგნაირად: **EUROCODE 8 - A ტიპი**, **IBC 2006 და ASCE 7 – B კლასი**.

1.3. დასკვნა

საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარდა სეისმური პროფილირება გარდატეხილი ტალღების მეთოდით. აიგო შესაბამისი სეისმოგეოლოგიური ჭრილები, განისაზღვრა დრეკადი გრძივი და განივი ტალღების გავრცელების სიჩქარეები. ასევე შეფასდა შესაბამისი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობები. ანგარიშში წარმოდგენილია სხვადასხვა სიგრძის 2 სეისმური პროფილის ჭრილი, საერთო სიგრძით 69 მ (ნახ. 1.1). ცხრილ 1.1-ში მითითებულია სეისმური პროფილების დასაწყისი და საბოლოო კოორდინატები WGS84 სისტემაში აბსოლუტურ სიმაღლეებთან ერთად.

გეოფიზიკური პარამეტრების მიხედვით გამოყოფილია სხვადასხვა საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტები (ფენები) და დადგენილია მათში V_P, V_S სიჩქარეების მნიშვნელობების განაწილება. შესაბამისი ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების მნიშვნელობები მოცემულია ცხრილებში 1.2 – 1.3 (ნახ.: 1.2 – 1.3).

მიღებულ ჭრილებზე გეოფიზიკური მონაცემების მიხედვით უმთავრესად დაიკვირვება ფიზიკური თვისებებით განსხვავებული სამი ფენი (იდენტიფიკაცია განხორციელდა ჩვენს მიერ მიღებული გეოფიზიკური მასალისა და დამკვეთის მიერ მოწოდებული გეოლოგიური ინფორმაციის საფუძველზე): ფენი 1 – ნაყარი გრუნტი ელუვიურ-პროლუვიური, წარმოდგენილი ხვინჭისა და თიხნარის ნარევით; ფენი2 - ძირითადი ქანები წარმოდგენილი ძლიერ გამოფიტული და განტვირთული თიხოვანი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით; ფენი3 - ძირითადი ქანები წარმოდგენილი ნაკლებად გამოფიტული თიხოვანი ქვიშაქვებისა და არგილიტების მორიგეობით.

გეოფიზიკური კვლევების საფუძველზე განივი ტალღების საშუალო სიჩქარეების მიხედვით გრუნტის ზედა 30 მ ფენში (V_{S30}) შეფასდა გრუნტის კატეგორიები. ვინაიდან 30მ სიღრმემდე ინფორმაციის მიღება მხოლოდ პროფილ #1-ზე გახდა შესაძლებელი, შესაბამისად გრუნტის კატეგორიების შეფასება მოხდა მხოლოდ აღნიშნული პროფილის საფუძველზე. შესაბამისად შეფასდა გრუნტის კატეგორიები როგორც საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით, ასევე საერთაშორისო ნორმების მიხედვით (IBC 2006, EUROCODE 8, ASCE 7).

ამ უბნისათვის განივი ტალღების სიჩქარეების გასაშუალოებული მნიშვნელობა ზედა 30 მ ფენში (V_{S30}) მიღებული იქნა **1362** მ/წმ. აღნიშნული მნიშვნელობა საქართველოში მოქმედი ნორმების მიხედვით შეესაბამება **გრუნტის I კატეგორიას**, ხოლო საერთაშორისო ნორმების მიხედვით განისაზღვრა შემდეგნაირად: **EUROCODE 8 - A ტიპი, IBC 2006 და ASCE 7 – B კლასი.**

2. სამშენებლო უბნის სეისმურობის დაზუსტება

სამშენებლო ტერიტორიის ამგები ფუძე-გრუნტების ძირითადი საინჟინრო-სეისმოლოგიური პარამეტრების და სამშენებლო ტერიტორიის საანგარიშო სეისმურობის დაზუსტების საკითხების შესწავლისას გამოყენებული იქნა:

1. ი.მ. „ზ. დევდარიანი“-ს მიერ 2020 წლის ივნისში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევები: „ქალაქ თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვარის დამაკავშირებელი ელგუჯა ამაშუკელის ქუჩის მიმდებარედ, ნაკვეთი, საკადასტრო კოდი #01.14.16.015/149, მრავალფუნქციური დანიშნულების შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის გამოყოფილი უბნის საინჟინრო გეოლოგიური პირობები“, თბილისი 2020 წ [2.1];

2. კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის 1974 წლის სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიში თემაზე: „ქ.თბილისის ტერიტორიის სეისმური მიკროდარაიონება“. [2.2].

სამშენებლო მოედნის სეისმურობის დაზუსტება ხორციელდება სეისმური სიხისტეების მეთოდით, რომელიც გულისხმობს სეისმურობის დაზუსტებას, ეტალონური გრუნტის აკუსტიკური სიხისტის შედარებით საკვლევი გრუნტის სიხისტესთან და იანგარიშება შემდეგი ფორმულით [2.3, 2.4, 2.5]:

$$I = I_0 + \Delta I \qquad (2.1)$$

სადაც, I არის დაზუსტებული ბალიანობის მნიშვნელობა; I_0 - ეტალონური გრუნტის ბალიანობა, რომელიც განისაზღვრება სეისმური მიკროდარაიონებით; ΔI - ბალიანობის ნამატი, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta I = 1.67 \lg (V_0 \times \rho_0 / V_i \times \rho_i) \qquad (2.2)$$

სადაც, V_0 და ρ_0 არის ეტალონური გრუნტისათვის შესაბამისად დრეკადი განივი (ან გრძივი) ტალღის სიჩქარე და სიმკვრივე, V_i და ρ_i არის საკვლევი გრუნტისათვის შესაბამისი სიჩქარე და სიმკვრივე.

[2.2] ნაშრომის მიხედვით ქ. თბილისის სეისმური მიკროდარაიონებითი სამუშაოების შესრულებისას ეტალონურ გრუნტად მიღებულ იქნა ქვიშაქვები არგილიტების მონაცვლეობით, რომელიც ხასიათდება შემდეგი დინამიური მახასიათებლებით: გრძივი ტალღის გავრცელების სიჩქარე V_{P0}=2000 მ/წმ; სიმკვრივე ρ_0=2400 კგ/მ^3, ხოლო მათი სეისმურობა დღეისათვის შეფასებულია 7 ბალით.

სამშენებლო ნორმების პნ 01.01-09 [2.6], ცხრილი 1-ის მე-2 შენიშვნის შესაბამისად „სამშენებლო მოედნის არაერთგვაროვანი გრუნტების შემთხვევაში, თავისი სეისმური თვისებებით, ისინი მიეკუთვნებიან უფრო არახელსაყრელ გრუნტის კატეგორიას, თუ გრუნტის 10 მ-იან შრის ფარგლებში (დაგეგმარების ნიშნულიდან) არახელსაყრელი შრე ხასიათდება 5 მ-ზე მეტი სისქით“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამშენებლო მოედანზე საკვლევი გრუნტისათვის V_i და ρ_i -ის გასაშუალოებული მნიშვნელობები დადგენილია [2.1]-ის და წინამდებარე ანგარიშის პირველ თავში აღწერილი სიდიდეების გასაშუალოებული სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით და შესაბამისად შეადგენს: 30 მეტრიანი შრისათვის - V_{P30}=2002±82 მ/წმ; V_{S30}=1362±73 მ/წმ; ρ_{30}=2205±39 კგ/მ^3; ყველაზე არახელსაყრელი 5 მეტრიანი შრისათვის - V_P = 1611±51 მ/წმ; V_S = 901±65 მ/წმ; ρ = 2040±30 კგ/მ^3.

აღნიშნული სიდიდეების გათვალისწინებით (უმცირესის) ბალიანობის ნამატი ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის შეადგენს

$$\Delta I = 1.67 \lg [(2000 \times 2400) / ((1611 \pm 51) \times (2040 \pm 30))] = 0.275183 \pm 0.033634$$

(+ 0 ბალი).

სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტის „სეისმომედეგი მშენებლობა“ [2.6] მე-3 მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, იმავე დოკუმენტის 1-ლი და მე-2 დანართებში განსაზღვრული საანგარიშო ბალი და პიკური ჰორიზონტალური აჩქარების მნიშვნელობები მიეკუთვნება საშუალო (მე-II კატეგორიის) სეისმური თვისებების გრუნტებს, რომლებისათვისაც გრუნტების პარამეტრები V_{P0}=500-700 მ/წმ, V_{S0}=320-350 მ/წმ და ρ_0= 1700-1800 კგ/მ^3 [2.3, 2.4, 2.5], ხოლო საწყისი ბალიანობა 8. თუ ბალიანობის ნამატს დავითვლით საშუალო გრუნტებისათვის მივიღებთ, რომ

$\Delta I = 1.67 \lg [(600\pm100) \times (1750\pm50) / ((1611 \pm 51) \times (2040 \pm 30))] = -0.694871 \pm 0.033634$ (- 1 ბალი).

ან

$\Delta I = 1.67 \lg [(335\pm15) \times (1750\pm50) / ((901 \pm 65) \times (2040 \pm 30))] = -0.774603 \pm 0.063080$ (- 1 ბალი).

აკუსტიკური სიხისტეების მეთოდით სამშენებლო ტერიტორიაზე ანგარიშით მიღებული ბალიანობის ნაზრდმა შეადგინა: ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის ΔI = = 0.275183 $\pm$ 0.033634 (+ 0 ბალი), ხოლო ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის ΔI = = -0.694871 $\pm$ 0.033634 (- 1 ბალი), ესეიგი დაზუსტებული ბალიანობის მნიშვნელობა და შესაბამისად საანგარიშო სეისმურობა სამშენებლო მოედნისათვის შეადგენს **I** = **7** ბალს.

სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტის „სეისმომედეგი მშენებლობა“ [2.6] მე-3 მუხლის მე-16 პუნქტის მიხედვით, ვინაიდან სამშენებლო უბნის სეისმურობა იცვლება, ამიტომ იმავე დოკუმენტის 1-ლი დანართით განსაზღვრული მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მნიშვნელობა, რომელიც ქ. თბილისისათვის შეადგენს 0.17g-ს, უნდა შემცირდეს ორჯერ ან დაკორექტირდეს შემდეგი ფორმულით [2.4, 2.5]:

$$\lg A/A_0 = [1.67 \lg [(V_0 \times \rho_0)/(V_i \times \rho_i)]/3.3 \qquad (2.3)$$

სადაც, A საკვლევი უბნის გრუნტის მაქსიმალური აჩარების მნიშვნელობაა; A_0 - იგივე ეტალონურ გრუნტში; V_0 და ρ_0 არის [2.2, 2.3, 2.4, 2.5]-ში მითითებული ეტალონური და საშუალო გრუნტების პარამეტრები:

ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის - V_{P0}=2000 მ/წმ, ρ_0=2400 კგ/მ^3

ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის - V_{P0}=500-700 მ/წმ, V_{S0}=320-350 მ/წმ, ρ_0=1700-1800 კგ/მ^3

ხოლო V_i და ρ_i არის საკვლევი გრუნტისათვის შესაბამისად გრძივი ტალღის სიჩქარე და სიმკვრივე და შეადგენს: V_P = 1611±51 მ/წმ; V_S = 901±65 მ/წმ; ρ = 2040±30 კგ/მ^3 ე.ი.

ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის

$lgA/A_0 = \{1.67\ lg\ [(2000 \times 2400) / ((1611 \pm 51) \times (2040 \pm 30))] /3.3\} =$
$= (0.083389 \pm 0.010192)$

ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის

$lgA/A_0 = \{1.67\ lg\ [((600\pm100)x(1750\pm50)) / ((1611 \pm 51) \times (2040 \pm 30))] /3.3\} =$
$= (-0.210567 \pm 0.010192)$

ან

$lgA/A_0 = \{1.67\ lg\ [(335\pm15) \times (1750\pm50) / ((901 \pm 65) \times (2040 \pm 30))] /3.3\} =$
$= (-0.234728 \pm 0.019115)$

შესაბამისად

ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის

$A = 10^{[(0.083389 \pm 0.010192)]} \times 0.085g = [1.212016 \pm 0.028439] x0.085g = (0.10302 \pm 0.00242)\ g$

ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის

$A = 10^{[(-0.210567 \pm 0.010192)]} \times 0.170g = [0.615960 \pm 0.014453] \times 0.17g = (0.10471 \pm 0.00246)\ g$

ან

$A = 10^{[(-0.234728 \pm 0.019115)]} \times 0.170g = [0.583032 \pm 0.025645] \times 0.17g = (0.09912 \pm 0.00436)\ g$

ანალიზის შედეგად მივიღეთ, რომ კორექტირებული ჰორიზონტალური აჩქარების მნიშვნელობა შეადგენს **0.107 g**-ს (**1.050** მ/წმ^2).

ტოპოგრაფიული რუკის (გეგმის) ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამშენებლო უბნიდან რელიეფის დახრა მდინარე ვერეს მიმართულებით შეადგენს 12 - 20^0 -ს, რაც აღემატება 15^0-ს, ამიტომ რელიეფის (ტოპოგრაფიული) გაძლიერების კოეფიციენტის გათვალისწინება აუცილებელია (პნ 01.01-09 მუხლი 3, პ17, EN 1998-5. 2004. A დანართი,

პუნქტი A.2) სეისმური მიკროდარაიონების მონაცემების შესაბამისად. ასეთი მონაცემების არარსებობის შემთხვევაში რეკომენდებულია [2.7] ფერდობის ძირში აღებულ იქნას კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.5, ხოლო ფერდობის წვერზე კი - 1.25 (შუალედური მნიშვნელობები აიღება ინტერპოლაციით). EN 1998-5. 2004. A დანართი, პუნქტი A.2-ის მიხედვით [2.6] კლდის ზედა კიდესთან ახლოს მდებარე ნაგებობებისათვის რეკომენდებულია $S_T \geq 1.2$. აღნიშნული დოკუმენტების მოთხოვნების შეჯერებით, ვღებულობთ, რომ $K_რ=1.05$.

ე.ი. ვღებულობთ, რომ საანგარიშო ჰორიზონტალური აჩქარების მნიშვნელობა შეადგენს **0.112 g**-ს (**1.104** მ/წმ^2).

(მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტში 2021 წელს შედგენილი ახალი საშიშროების რუკების დანართი #3-ის მიხედვით, ქ. თბილისის მოცემული უბნისათვის (ე.ამაშუკელის ქუჩა ს/კ 001.14.16.015.149) პიკური ჰორიზონტალური აჩქარების მნიშვნელობა სეისმური საშიშროების გადაჭარბების 10%-იანი ალბათობისათვის 50 წ მოლოდინის დროისთვის და 475წ. განმეორებადობის პერიოდისთვის შეადგენს **0.319 g**-ს. დოკუმენტი ოფიციალურად მიღებული არ არის).

3. აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა

3.1 აქსელეროგრამების შერჩევა ზოგადი პრინციპებით

სამშენებლო ობიექტისათვის საანგარიშო აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევას ძირითადად ახორციელებენ შესასწავლი ტერიტორიის სეისმოლოგიური მონაცემების, ჩამწერი სეისმომეტრიული სადგურების მონაცემების, ტერიტორიის ლოკალური პატამეტრების და საპროექტო შენობების მოდალური მახასიათებლების მიხედვით.

ნახ. 3.1-ზე ილუსტაციის მიზნით წარმოდგენილია აქსელეროგრამის შერჩევა მოსალოდნელი მიწისძვრის ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: მიწისძვრის სახელი; ქვეყანა; რეგიონები; თარიღი; ეპიცენტრალური კოორდინატები; ფოკალური სიღრმე; მაგნიტუდა; ეპიცენტრალური ინტენსივობა; მიწისძვრის მექანიზმი.



ნახ. 3.1 აქსელეროგრამის შერჩევა მიწისძვრის კრიტერიუმებით.

ნახ. 3.2-ზე ილუსტაციის მიზნით წარმოდგენილია აქსელეროგრამის შერჩევა ჩამწერი სეისმომეტრიული სადგურის ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: ჩამწერი სადგურის ნომერი; ლოკაციის კოორდინატები; შენობის ტიპი; ლოკალური გეოლოგია; 30 მეტრიანი ფენის განივი ტალღის საშუალო სიჩქარე.



ნახ. 3.2 აქსელეროგრამის შერჩევა სეისმური სადგურის მონაცემებით.

ნახ. 3.3-ზე ილუსტაციის მიზნით წარმოდგენილია აქსელეროგრამის შერჩევა მიწისძვრის ტალღების ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: ეპიცენტრალური და ჰიპოცენტრალური მანძილი; კუთხის აზიმუტი; ლოკალური ინტენსივობა; პიკური ჰორიზონტალური აჩქარება, პიკური ვერტიკალური აჩქარება.



ნახ. 3.3 აქსელეროგრამის შერჩევა მიწისძვრის ტალღების კრიტერიუმებით.

ჩვენ შემთხვევაში საინჟინრო-გეოლოგიური მონაცემები აღებულია საინჟინრო გეოლოგიური კვლევების დასკვნიდან [2.1], ხოლო სიჩქარეები წინამდებარე ნაშრომის 1-ლი და მე-2 თავებიდან.

როგორც ზევით ავღნიშნეთ აქსელეროგრამების შერჩევისას (განსაკუთრებით მაღლივი შენობებისათვის) მნიშვნელოვანია მოდელი „შენობა-გრუნტი“-ს მოდალური მახასიათებლების ცოდნა.

ცნობილია, რომ ერთნაირ სეისმოლოგიურ უბნებზე განთავსებული სხვადასხვა ფერდობისა და გეოლოგიური სტრუქტურის მქონე ფუძე-გრუნტებზე განთავსებული ნაგებობები მიწისძვრის დროს ღებულობს სხვადასხვა რეაქციას, შესაბამისად უმნიშვნელოვანესია ნაგებობების დინამიკური მახასიათებლების ცოდნა სამშენებლო მოედანზე არსებული ფუძე-გრუნტების გათვალისწინებით.

როდესაც უცნობია „ნაგებობა-ფუძე-გრუნტი“ მოდელის მოდალური ანალიზის შედეგები: დომინანტური რხევების პერიოდები, ფორმები, მასათა განაწილება და სხვა, მაშინ უნდა ვისარგებლოთ მიახლოებითი მაჩვენებლებით, როგორც ფუძე-გრუნტებისათვის, ასევე დასაპროექტებელი შენობისათვის.

ფუძე-გრუნტების რეზონანსული რხევების პერიოდის განსაზღვრა შესაძლებელია შემდეგი ფორმულით [3.1]

$$T_{\text{რეზ, n}} = 4 * H / [V_S *(2n-1)] \qquad (3.1)$$

სადაც, $T_{\text{რეზ}}$ საკვლევ უბანზე გრუნტის რეზონანსული რხევების პერიოდია, წმ; H - ფენის (შრის) სიმძლავრე მ; V_S განივი სეისმური ტალღის გავრცელების სიჩქარე, მ/წმ; n - რხევის ფორმა. საკვლევი გრუნტისათვის შესაბამისად განივი სეისმური ტალღის სიჩქარე შეადგენს $V_S = 901 \pm 65$ მ/წმ.

$$T_{\text{რეზ, 1}} = 4 * 30 / [(901 \pm 65)*1] = 0.133882 \pm 0.009658534 \text{ წმ}$$

$$T_{\text{რეზ, 2}} = 4 * 30 / [(901 \pm 65)*3] = 0.044627 \pm 0.003219511 \text{ წმ}$$

საპროექტო შენობების სართულიანობა (ავტოსადგომის ჩათვლით) შეადგენს მაქსიმუმ 30 - ს, ამიტომ დომინანტური რხევების პერიოდი მიიღება მიახლობითი ფორმულით

$$T_1 = (0.1 \div 0.125) \text{ x } N \qquad (3.2)$$

სადაც, T_1 - შენობის საკუთარი რხევების პირველი პერიოდია, წმ; N - შენობაში სართულშუა გადახურვების რიცხვი; $(0.1 \div 0.125)$ კოეფიციენტები აიღება გრუნტის არაწრფივი სეისმური თვისებების გათვალისწინებით. შესაბამისად

$$T_1 = (0.1 \div 0.125) \times 30 = 3.00000 \div 3.75000 \text{ წმ}$$

აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა (მიწისძვრების ჩანაწერების დომინანტური პერიოდების მიხედვით) განხორციელდა გრუნტების რეზონანსული და შენობის საკუთარი რხევების პერიოდების აღნიშნულ სპექტრალურ ზოლში.

3.2 აქსელეროგრამების შერჩევა პაკეტისათვის და ნორმირება ერთეულ სიდიდეზე

საანგარიშო აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევისათვის გამოყენებულ იქნა, ინტერნეტის ქსელში მოძიებული რესურსები, კერძოდ - ბერკლის უნივერსიტეტის „Pacific Earthquake Engineering Research Center: NGA Database“, გაერთიანებული ევროპის პროექტის „Internet-Site for European Strong-Motion DataBase“ და იტალიური აქსელერომეტრიული არქივის - Italian Accelerometric Archive მონაცემთა ბანკში არსებული აქსელეროგრამები. ქვემოთ მოყვანილია ინტერნეტ საიტები სადაც შესაძლებელია ძლიერი მიწისძვრების ჩანაწერების მოძიება და შერჩევა.

International Strong Motion Databases

Global databases: PEER Strong Motion Database, COSMOS Consortium of Organizations for Strong Motion Observation Systems, Center for Engineering Strong-Motion Data

National databases: Strong-Motion Sismograph Networks (K-NET, KiK-net) (Japan), Strong Motion Database of Turkey, ITalian Accelerometric Archive, Euroseistest database (Greece), Unified HEllenic Accelerogram Database (Greece), Swiss National Strong Motion Network, Institute of Engineering Seismology and Earthquake Engineering (Greece), Guerrero Accelerograph Network (Mexico), GeoNet (New Zealand).

კვლევების შედეგად მონაცემთა ბაზებიდან მოძიებულ იქნა ოცდაერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი.

საინჟინრო-სეისმომეტრული ინფორმაციის დამუშავების და გამოყენების სახელმძღვანელოებში და რეკომენდაციებში [3.2] დეტალურადაა აღწერილი სამუშაო მეთოდოლოგია და ამიტომ მათ აღწერას აქ არ მოვიყვანთ.

ავღნიშნავთ მხოლოდ აქსელეროგრამების ნორმირების პროცესს: სამკომპონენტიანი აქსელეროგრამების X და Y მდგენელების კვადრატები ჯამდება და მიღებული შედეგიდან ამოიღება კვადრატული ფესვი (SQRT(X2+Y2)). მიღებული შედეგებიდან იძებნება მაქსიმალური მნიშვნელობა და ამ სიდიდეზე იყოფა თითოეული ჩანაწერი (X, Y, Z მდგენელები). გამოთვლები ჩატარდა ლიცენზირებული პროგრამების SeismoSignal 2021-ის, SeismoSpect 2021-ის და PRISM გამოყენებით.

მშენებარე მრავალსართულიანი შენობებისათვის, ტერიტორიის საინჟინრო-სეისმოლოგიური პარამეტრებისა და შენობის დინამიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, საბოლოოდ შერჩეულ იქნა შემდეგი აქსელეროგრამები:

- 1976 წლის 6 მაისის „Friuli“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 1979 წლის 15 აპრილის „Montenegro“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 1980 წლის 23 ნოემბრის „Campano Lucano“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 1999 წლის 17 აგვისტოს „Izmit“-ის მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 1995 წლის 13 მაისის „Kozani“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 2003 წლის 1 მაისის „Bingol“-ის მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 2002 წლის 25 აპრილის „Tbilisi“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი.

ქვევით ნახ. 3.4-3.10-ზე მოყვანილია მიწისძვრის ორიგინალი ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები, ნახ. 3.11-3.17-ზე კი შერჩეული აქსელეროგრამებისათვის გამოთვლილი ნორმირებული ჩანაწერები და ნორმირებული სპექტრები.

გაანგარიშების დროს, ნორმირებული აქსელეროგრამები უნდა გამრავლდეს საანგარიშო აჩქარების მნიშვნელობაზე - **0.112 g ≈ 1.104** მ/წმ^2.

აღნიშნული აქსელეროგრამების ორიგინალური და ნორმირებული ჩანაწერები ციფრული სახით მოცემულია ელექტრონულ ვერსიაში (CD დისკზე), რომელიც თანერთვის წინამდებარე ანგარიშს.



ნახ. 3.4. 1976 წლის 6 მაისის „Friuli“-ს მიწისძვრის
ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები.



Tosic, M. (1980)

ნახ. 3.5. 1979 წლის 15 აპრილის „Montenegro“-ს მიწისძვრის ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები.



ნახ. 3.6. 1980 წლის 23 ნოემბრის „Campano Lucano“-ს მიწისძვრის ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები.



ნახ. 3.7. 1999 წლის 17 აგვისტოს „Izmit“-ის მიწისძვრის

ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები.



ნახ. 3.8. 1995 წლის 13 მაისის „Kozani“-ს მიწისძვრის

ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები.



ნახ. 3.9. 2003 წლის 1 მაისის „Bingol“-ის მიწისძვრის

ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები.



ნახ. 3.10. 2002 წლის 25 აპრილის „Tbilisi“-ს მიწისძვრის

ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები.

ა)



ბ)



ნახ. 3.11. 1976 წლის 6 მაისის „Friuli“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.12. 1979 წლის 15 აპრილის „Montenegro“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.13. 1980 წლის 23 ნოემბრის „Campano Lucano“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.14. 1999 წლის 17 აგვისტოს „Izmit“-ის მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.15. 1995 წლის 13 მაისის „Kozani“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.16. 2003 წლის 1 მაისის „Bingol“-ის მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.17. 2002 წლის 25 აპრილის „Tbilisi“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

4. დრეკადი და საანგარიშო სპექტრების აგება

სეისმურ რაიონებში შენობა-ნაგებობების დაპროექტებისას ერთერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მათთვის დრეკადი და საანგარიშო სპექტრების აგება. სეისმომედეგობის შეფასება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალების თანახმად, ხორციელდება საქართველოში დღეისათვის მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის პნ 01.01-09-ის მოთხოვნების შესაბამისად სამშენებლო ტერიტორიის ადგილობრივი საინჟინრო სეისმოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით.

აქსელეროგრამების 5%-იანი რეაქციის სპექტრების კრებული წარმოდგენილია ნახაზ 4.1-ზე. იმავე ნახაზზე შედარების მიზნით მოყვანილია აგრეთვე უკრაინული ДБН В.2.2-24:2009 [4.1], რუსული МГСН 4.19-05 [4.2] და ევროპული EUROCODE-8 [4.3] (q ფაქტორის საშუალო მნიშვნელობისათვის) რეაქციის სპექტრების გრაფიკები, რომლებიც აგებულია მაღლივი შენობების დაპროექტებისა და სეისმომედეგობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აქსელეროგრამების მომვლები მრუდი სრულად მოიცავს საანგარიშო აქსელეროგრამებს და კარგად შეესაბამება მეზობელი ქვეყნების მაღლივი შენობების სეისმომედეგი დაპროექტების მოთხოვნებს.

ნორმირებული აქსელეროგრამების მომვლები გრაფიკის თეორიული აღწერა მოყვანილია ქვევით:

0.0 წმ ≤T_i≤ 0.5 წმ	S_a= 0.42 + 1.68*T_i ,	
0.5 წმ ≤ T_i≤ 2.8 წმ	S_a= 1.26,	(4.1)
2.8 წმ ≤ T_i	S_a= 3.182825 / $T_i^{0.9}$	

საანგარიშო რეაქციის სპექტრის მისაღებად (4.1) ფორმულაში მოყვანილი სიდიდეები უნდა გამრავლდეს 0.112 g-ზე (1.104 მ/წმ^2) ე.ი.

საანგარიშო რეაქციის სპექტრი გამოითვლება ფორმულით:

0.0 ≤T_i≤ 0.5 წმ	S_a= 0.463680 + 1.854720 * T_i	მ/წმ^2	
0.5 ≤ T_i≤ 2.8 წმ	S_a= 1.391040	მ/წმ^2	(4.2)
2.8 წმ ≤ T_i	S_a= 3.5138389 / $T_i^{0.9}$	მ/წმ^2	

ხოლო, შესაბამისი მრუდი მოყვანილია ნახ. 4.1-4.2-ზე (შესაბამისად g-ს ერთეულებში და მ/წმ^2-ში). საანგარიშო სპექტრის ვერტიკალური მდგენელი მიიღება ჰორიზონტალურის გამრავლებით 0.7 კოეფიციენტზე.



ნახ. 4.1. ნორმირებული 5%-იანი რეაქციის სპექტრების კრებული.



ნახ.4.2. საანგარიშო ჰორიზონტალური რეაქციის სპექტრი.

5. აქსელეროგრამებისა და რეაქციის სპექტრების ციფრული პაკეტის გადაყვანა პროგრამა „Lira SAPR“ ფორმატში

სამშენებლო საანგარიშო პროგრამული კომპლექსი „Lira Windows“ ითვალისწინებს გაანგარიშებას აქსელეროგრამებზე და საანგარიშო რეაქციის სპექტრზე.

აქსელეროგრამების პროგრამაში შესატანად ვსარგებლობთ დატვირთვების მენიუში, დინამიკური დატვირთვების ცხრილში #27 ან #29 ბლოკებით (ნახ. 5.1 ა, ბ). მაშტაბირების კოეფიციენტი აიღება - 0.112 g ≈ 1.104 მ/წმ^2.

კოსინუსის მიმართულებების შერჩევა დამოკიდებულია შენობა-გრუნტის მოდალური ანალიზის შედეგებზე და მისი შერჩევა პროექტის კონსტრუქტორების პრეროგატივაა. აქსელეროგრამების დისკრეტიზაციის ბიჯი ყველა ჩანაწერისათვის შეადგენს 0.01 წმ-ს. აქსელეროგრამების ხანგრძლივობა პროგრამა ლირაში შესატანია შემდეგი მნიშვნელობებით: Friuli # 000055 – 36.53 წმ; Montenegro # 000200 – 47.93 წმ; Campano Lucano # 000287 – 72.61 წმ; Izmit # 001228 – 47.61 წმ; Kozani # 006115 – 29.37 წმ; Bingol # 007142 – 64.71 წმ;Tbilisi #007934 – 43.39 წმ.

აქსელეროგრამების ატვირთვა უნდა მოხდეს შესაბამისი სახელწოდების ფაილების მიხედვით, რომლებიც უნდა განთავსდეს შესაბამის (მაგ. C:\Users\Public\Documents\LIRA SAPR\LIRA SAPR 2013\Data) დირექტორიაში და ფაილის ტიპი უნდა იყოს txt ფორმატში.

საანგარიშო სპექტრის პროგრამაში შესატანად ვსარგებლობთ დატვირთვების მენიუში, დინამიკური დატვირთვების ცხრილში #41 ბლოკით (ნახ. 5.2). მაშტაბირების კოეფიციენტი აიღება 1-ის ტოლი (მ/წმ^2). კოსინუსის მიმართულებების შერჩევა დამოკიდებულია შენობა-გრუნტის მოდალური ანალიზის შედეგებზე და მისი შერჩევა პროექტის კონსტრუქტორების პრეროგატივაა. საანგარიშო სპექტრის ფაილი უნდა განთავსდეს შესაბამის (მაგ. C:\Users\Public\Documents\LIRA SAPR\LIRA SAPR 2013\Data) დირექტორიაში და ფაილის გაფართოება უნდა იყოს txt ფორმატში.

ა)



ბ)



ნახ. 5.1. აქსელეროგრამებზე გაანგარიშებისათვის პროგრამა LIRA SAPR 2016-ში: ა) ბლოკი 27; ბ) ბლოკი 29.



ნახ. 5.2. საანგარიშო რეაქციის სპექტრით გაანგარიშებისათვის პროგრამა LIRA SAPR 2016-ში შესატანი კომპონენტები.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ექსპერიმენტული კვლევებით მიღებულია ფუძე-გრუნტების სეისმური პროფილები და ძირითადი სიჩქარული მახასიათებლები, რომლებიც მოყვანილია სურ. 1.2-1.3-ზე და ცხრილ 1.2-1.3-ში.
- აკუსტიკური სიხისტეების მეთოდით სამშენებლო ტერიტორიაზე ანგარიშით მიღებული ბალიანობის ნაზრდმა შეადგინა: ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის $\Delta I = 0.275183 \pm 0.033634$ (+ 0 ბალი), ხოლო ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის $\Delta I = -0.694871 \pm 0.033634$ (- 1 ბალი), ესეიგი დაზუსტებული ბალიანობის მნიშვნელობა და შესაბამისად საანგარიშო სეისმურობა სამშენებლო მოედნისათვის შეადგენს $I = 7$ ბალს.
- საანგარიშო ჰორიზონტალური აჩქარების დაზუსტებული მნიშვნელობა შეადგენს 0.112 g -ს (1.104 მ/წმ^2).
- აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევისას მოძიებულ იქნა შვიდი აქსელეროგრამა: 1976 წლის 6 მაისის „Friuli“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 1979 წლის 15 აპრილის „Montenegro“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 1980 წლის 23 ნოემბრის „Campano Lucano“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 1999 წლის 17 აგვისტოს „Izmit“-ის მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 1995 წლის 13 მაისის „Kozani“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 2003 წლის 1 მაისის „Bingol“-ის მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 2002 წლის 25 აპრილის „Tbilisi“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი.
- ყველა ორიგინალი აქსელეროგრამა ნორმირებულია და საანგარიშო სპექტრალურ მრუდთან ერთად ციფრული სახით წამოდგენილია CD დისკზე.
- შენობის გაანგარიშების დროს, ნორმირებული აქსელეროგრამები უნდა გამრავლდეს საანგარიშო აჩქარების მნიშვნელობაზე, რომელიც შეადგენს $0.112g \approx 1.104$ მ/წმ^2.
- საანგარიშო ჰორიზონტალური რეაქციის სპექტრი წარმოდგენილია ნახ. 4.2-ზე და გამოითვლება 4.2. ფორმულით, ხოლო სპექტრის ვერტიკალური მდგენელი მიიღება ჰორიზონტალური სპექტრის გამრავლებით 0.7 კოეფიციენტზე.
- შენობების გაანგარიშების დროს, რეაქციის სპექტრის გადამყვანი კოეფიციენტი ჰორიზონტალური მდგენელისათვის შეადგენს 1.0-ს, ხოლო ვერტიკალური მდგენელისათვის - 0.7-ს.

ლიტერატურა

თავი 1

1.1. N.B.Dortman, Physical properties of rocks and minerals, 1984.

1.2. Н.Н. Горяинов, Сейсмические методы в инжинерной геологии. «Недра», 1979, 150с.

